N 107 2016 წლის 26 თებერვალი ქ. თბილისი

საქართველოში ფეხბურთის განვითარების (2016-2020 წწ.) სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დამტკიცდეს საქართველოში ფეხბურთის განვითარების (2016-2020 წწ.) სახელმწიფო პროგრამა (შემდგომში – პროგრამა).

მუხლი 2. პროგრამის მიზნები და ამოცანებია:

ა) საქართველოში ფეხბურთის პოპულარიზაციისა და განვითარებისკენ მიმართული ღონისძიებების მხარდაჭერა;

ბ) ფეხბურთის მართვის თანამედროვე სტანდარტების დანერგვა;

გ) კონკურენტუნარიანი თავისუფალი საფეხბურთო ბაზრის შექმნა;

დ) ფეხბურთში, როგორც სოციალურ აქტივობაში ჩართულობის დონის ამაღლება, მასობრივი და სხვადასხვა სახის ღონისძიებების (ქალთა და ჭაბუკთა პირველობები, რეგიონული ტურნირები, ფუტსალი, პლაჟის, ქუჩისა და შშმპ ფეხბურთი, სასკოლო შეჯიბრებები და სხვ.) განხორციელება;

ე) საფეხბურთო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება (ახალი ობიექტების აშენება და არსებულის აღდგენა-რეაბილიტაცია);

ვ) ფეხბურთის განვითარების მიზნობრივი პროექტების რეალიზაცია;

ზ) საფეხბურთო განათლების (მათ შორის, მწვრთნელთა, მსაჯთა და სხვა პერსონალის ლიცენზირების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სათანადო დონეზე მომზადება-გადამზადებისთვის) ხელშემწყობი შესაბამისი პროგრამების შემუშავება და განხორციელება;

თ) საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ჩატარების სისტემის სრულყოფა და სათანადო საინფორმაციო მხარდაჭერის (მატჩების პირდაპირი ტელეტრანსლაციები, ტურის მიმოხილვა, ანალიტიკური გადაცემები, სხვადასხვა მედიააქტივობები) ხელშეწყობა;

ი) კლუბების ფინანსური სტიმულირება, საბაზისო, საპრიზო და პრემიალური დაფინანსება.

მუხლი 3. პროგრამის მიზნებისა და ამოცანების განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით:

ა) 2016-2020 წლებში პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დაფინანსებისათვის საჭირო თანხა განისაზღვროს 265 700 000 (ორას სამოცდახუთი მილიონ შვიდასი ათასი) ლარის ოდენობით, დანართის შესაბამისად;

ბ) საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ ა(ა)იპ – საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასა და ა(ა)იპ – ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდთან თანამშრომლობითა და შეთანხმებით უზრუნველყოს პროგრამის დანართში მითითებული პრიორიტეტების თანახმად გასაწევი ხარჯების (წლების მიხედვით) კონკრეტული მიმართულებების განსაზღვრა და შესაბამისი წინადადებების საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის წარდგენა და ამასთან, პროგრამის დანართის პრიორიტეტებზე განაწილებულ თანხებში შესაძლებელია მოხდეს კორექტირება, კონკრეტული წლისთვის განსაზღვრული ჯამური თანხის უცვლელად;

გ) საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს შესაბამისი წინადადების საფუძველზე, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები 2016-2020 წლების სახელმწიფო ბიუჯეტში სათანადო ასიგნებების მოძიებისა და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსათვის გამოსაყოფად, შემდგომში სუბსიდირების გზით ა(ა)იპ – ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდისთვის გადაცემის მიზნით;

დ) ამ მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედებების უზრუნველსაყოფად:

დ.ა) ეთხოვოთ ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს, ამ დადგენილების ამოქმედებიდან 10 დღის ვადაში, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგინონ ინფორმაცია ფეხბურთის მხარდაჭერის მიზნით მათ 2016 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული თანხების (საფეხბურთო ლიგებში მოთამაშე კლუბების, ბავშვთა სკოლების, საფეხბურთო ინფრასტრუქტურისა და ფეხბურთის მხარდაჭერის მიზნით სხვა ღონისძიებებისათვის) შესახებ;

დ.ბ) ეთხოვოთ ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს, ფეხბურთის მხარდაჭერისთვის გათვალისწინებული თანხიდან 2016 წლის 1 მარტის მდგომარეობით დარჩენილი რესურსი მიმართონ სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხების თანადაფინანსებაზე;

დ.გ) ეთხოვოთ მუნიციპალიტეტებს, 2017-2020 წლებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოსაყოფი თანხების თანადაფინანსებისთვის გაითვალისწინონ არანაკლებ 2016 წელს მათ ბიუჯეტში ფეხბურთის მხარდაჭერის მიზნით განსაზღვრული თანხისა;

დ.დ) საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, ამ მუხლის „დ.ბ“ ქვეპუნქტის თანახმად მუნიციპალიტეტების მიერ განხორციელებული

თანადაფინანსების შესაბამისად, შეამციროს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი და აღნიშნული თანხა ა(ა)იპ – ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის სუბსიდირების მიზნით გამოუყოს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს;

დ.ე) საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, 2017-2020 წლების ბიუჯეტის მომზადებისას, ა(ა)იპ – ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის სუბსიდირების მიზნით, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ასიგნებებში გაითვალისწინოს არანაკლებ ამ მუხლის „დ.გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მიერ ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსებისთვის გათვალისწინებული თანხისა;

ე) ეთხოვოთ საზოგადოებრივ მაუწყებელსა და კერძო სატელევიზიო კომპანიებს ამ პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების ფართოდ გაშუქება.

მუხლი 4. ა(ა)იპ – ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდმა:

ა) პროგრამის დანართში მითითებული ხარჯების დასაფინანსებლად უზრუნველყოს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ სუბსიდირების გზით გადარიცხული თანხების განაწილება და შესაბამისი მიმართვა გრანტების სახით;

ბ) პროგრამის მიზნებისა და ამოცანების სრულად განხორციელებისათვის, პროგრამის დანართში მითითებული ხარჯების თანადაფინანსებისთვის და აღნიშნულ დანართში გაუთვალისწინებელი სხვა ხარჯების დასაფინანსებლად უზრუნველყოს კერძო ინვესტიციების მოზიდვა.

მუხლი 5. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**

საქართველოს მთავრობის
2016 წლის 26 თებერვლის
№ 107 დადგენილების

დანართი

საქართველოში ფეხბურთის განვითარების (2016-2020 წწ.) სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დაფინანსება

პრიორიტეტები	2016 წ.	2017 წ.	2018 წ.	2019 წ.	2020 წ.
კლუბების საბაზისო დაფინანსება	35 400 000	24 000 000	24 000 000	24 000 000	24 000 000
კლუბების ფინანსური სტიმულირება	1 900 000	9 000 000	9 000 000	9 000 000	9 000 000
კლუბების საპრიზო და პრემიალური ფონდი	1 350 000	10 000 000	10 000 000	10 000 000	10 000 000
მასობრივი და სხვადასხვა სახის საფეხბურთო ღონისძიებები	1 550 000	2 750 000	2 750 000	2 750 000	2 750 000
ინფრასტრუქტურის მოწესრიგება		8 000 000	9 500 000	11 000 000	13 000 000
საფეხბურთო განათლების ხელშემწყობი პროგრამები			500 000	500 000	500 000
ხარჯების ჯამი წლების მიხედვით	40 200 000	53 250 000	55 750 000	57 250 000	59 250 000
საერთო ჯამი	265 700 000				